ბათუმის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-03/15
30.08.2024

15--4-202408301746

ბრძანება

2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მიერ წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის დროის გამოყოფისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (შემდგომში „მაუწყებელი“) საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია ეთერში განათავსოს წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა და განსაზღვროს შესაბამისი ტარიფი.

საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 50-ე და 51-ე მუხლების, “მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მაუწყებლის დებულების 9.2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის გამოყოფილი საეთერო დრო და ტარიფები განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის დირექტორს, მაუწყებლის დირექტორის მოადგილეებს, იურიდიული მხარდაჭერის სამსახურს, ონლაინ მედიის სამსახურსა და სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურს.

3.მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

4.წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით, 24:00 საათამდე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ეკატერინე შაინიძე

დირექტორი - მ.შ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის მ/შ-ის 2024 წლის 30 აგვისტოს N02-03/15 ბრძანების
N1 დანართი

2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისათვის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების დრო და ტარიფები

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში (შემდგომში - „მაუწყებელი") წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის საეთერო დრო გამოყოფილია 2024 წლის 06 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის.
2. მაუწყებლის სატელევიზიო არხსა და რადიო ეთერში (FM104.5) ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის შეადგენს 60-60 წუთს, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთად.
3. მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტარიფები:

სატელევიზიო ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	850
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	3000
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	700
რადიო ეთერი FM104.5 ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	250
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	300
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	200